ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დისტანციური დათვალიერებით და აზომვითი ნახაზების მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში განთავსებულია 32 საკლასო ოთახი, აქედან 2 ხელოვნების და 1 ინგლისურის კაბინეტია. გარდა ამისა, არის კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, დახურული სპორტული დარბაზი, დიდი სააქტო დარბაზი, საიზოლაციო ოთახი, ფსიქოლოგის ოთახი, ექიმის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია და სამასწავლებლო. სკოლის საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას მერხების და სკამების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 430 მერხი და 475 სკამი. საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, ასევე, არის მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფები, კარადები და სხვა საჭირო ინვენტარი. ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები, რუკები, პოსტერები, მოსწავლეთა ნამუშევრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ზედნადებები; • მიღება-ჩაბარების აქტი; • ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია დახურული ტიპის 91 კვ. მ სპორტული დარბაზი. დარბაზი კეთილმოწყობილია, აქვს სველი წერტილი. ასევე, გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისათვის. სპორტული დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. დარბაზიდან არის გასასვლელი სკოლის გამწვანებულ სკვერში, რომლის გადახურულ ნაწილში განლაგებულია მერხები და სკამები, სადაც მოსწავლეებს პერიოდულად უტარდებათ ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილები. ასევე, სკოლას აქვს ორი, დიდი და მცირე კეთილმოწყობილი, ღია სპორტული მოედანი, რომლებზეც დაგებულია ხელოვნური მწვანე საფარი და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • აზომვითი ნახაზები; • ზედნადებები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია 44 კვ. მ ფართის, ნათელი და კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. დაწესებულება ფლობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულ კომპლექტს, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებული რეკომენდაციების“ შესაბამისია. ლაბორატორიაში არის ფანჯარა, ბუნებრივი განიავების საშულება, ასევე გამწოვი და ონკანი ნიჟარით. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიაში არის 12 მერხი, დაფა, ტელევიზორი, ლეპტოპი და ბავშვების ნამუშევრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიის შესყიდვების დოკუმენტაცია; • აზომვითი ნახაზები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. იგი წარმოადგენს „ენერგო პრო ჯორჯიას“, „ბათუმის წყლის“ და შპს „სოკარ ჯორჯიას“ აბონენტს. სკოლის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. შენობის გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით. სკოლაში არის სულ 8 სველი წერტილი, მათ შორის პირველ სართულზე 1 ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. გოგონებისა და ვაჟების საპირფარეშოები ცალ-ცალკეა მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე. ასევე, მეორე სართულზეა განლაგებული ერთი სველი წერტილი სკოლის პერსონალისთვის. სველი წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნით და ქაღალდის ხელსახოცებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • აზომვითი ნახაზები; • ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის მოხმარების გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განლაგებულია 45 კვ. მ სკოლის ბიბლიოთეკა. იგი მოწყობილია მაგიდით და სკამებით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი. სკოლას აქვს შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკი და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 4227 ერთეულს, რომელშიც შედის როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნსა და ელექტრონულად ექსელის ფაილში. ხშირად, სკოლის ბიბლიოთეკაში ტარდება სასკოლო ღონისძიებები. სკოლას ჰყავს 2 ბიბლიოთეკარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • აზომვითი ნახაზები; • ბიბლიოთეკის დებულება; • მიღება-ჩაბარების აქტები; • სასაქონლო ზედნადები; • ექსელის ფორმატში აღწერილი წიგნების სია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი, ასევე ამავე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, სასადილო რაც მოსახერხებელ გარემოს ქმნის სსსმ მოსწავლეთათვის. თუმცა, სასურველია იმ პირებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ეტლით გადაადგილება შეეძლოთ სკოლის ყველა სართულზე მოძრაობა. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მფლობელობაშია ინტერნეტში ჩართული 29 კომპიუტერი. აქედან, 17 პერსონალური კომპიუტერია და 12 ნოუთბუკი. კომპიუტერების ოთახში განლაგებულია 13 პერსონალური კომპიუტერი; ბიბლიოთეკაში 1, სამასწავლებლოში 3, დირექტორის კაბინეტში 1, კანცელარიაში 2,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექიმის კაბინეტში 1 და კათედრებზე 8. გარდა ამისა სკოლას აქვს 3 ქსეროქს/პრინტერი, პროექტორი, ტელევიზორები. სკოლა სარგებლობს სს „სილქნეტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებით, ხოლო ხელშეკრულება ჰოსტინგის და დომენის მიწოდების შესახებ გაფორმებული აქვს შპს ჯი-ემ-ემ სტუდიოსთან. სკოლის ვებ-გვერდი http://nikeschool.ge ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. მასზე ატვირთულია სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები, კათედრის დებულება. ასევე, სკოლის შინაგანაწესი და სკოლის სტრუქტურა. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის ისტორია, სიახლეები, ფოტოგალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია; • გადახდის ქვითრები; • ვებ-გვერდი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია სახანძრო კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით თავისი გამოყენების ინსტრუქციით, რომელიც დამუხტულია და გამოყენებისათვის ვარგისია. შენობის ოთხივე სართულზე, განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმები. დერეფნებში გამოკრულია გასასვლელის მიმანიშნებელი ისრები. სკოლის დირექტორის 2018 წლის 20 სექტემბრის N01-02/21 ბრძანებით დამტკიცებულია შპს სკოლა ნიკეს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუციებზე რეაგირების გეგმა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ შემუშავებული "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" პროექტი, შესათანხმებლად იყო გაგზავნილი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. (წერილის გაგზავნის თარიღი 01-14/01; 10.01.2022).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • საევაკუაციო გეგმები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საევაკუაციო გეგმები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<u>სკოლის მეორე სართულზე განლაგებულია 10,5 კვ. მ</u> სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებობს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში განთავსებულია ონკანი ნიჟარით და შემდეგი სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სამედიცინო ტახტი, კომპიუტერი, კარადა, საათი და მაცივარი. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. <u>ოთახი საჭიროებს ხელოვნური ბარიერით გამოყოფილ მცირე გასასინჯ სივრცეს.</u> სკოლამ სასურველია სამედიცინო ოთახის მოწყობისას სრულად გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ. სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს ექთანი, რომელიც აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. პერიოდულად ამოწმებს კლასების, დერეფნების, ბუფეტის, საპირფარეშოების სისუფთავეს და აწვდის ინფორმაციას დირექტორს; პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • აზომვითი ნახაზები; • მედიკამენტების შესყიდვების დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“; • ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლას კამერების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 19 ვიდეო კამერა. გადმოგზავნილი დოკუმენტაციით გარე კამერების ტექნიკური მონაცემები ვერ დგინდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების ფლობის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. შინაგანაწესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და შპს სკოლა ნიკეს პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 07 სექტემბრის N 1 სხდომის ოქმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები; გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულები და აღწერილია მათი მოვალეობები. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი შინაგანაწესი და წესდება ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა არის გარკვეული უზუსტობებიც. შინაგანაწესის 37-ე მუხლში გაწერილია წახალისებების ფორმები ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, მაგრამ არ არის გაწერილი რა შემთხვევებში მიიღებენ კონკრეტულ წახალისებებს. წესდების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერია - დირექტორთან ურთიერთობაზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სკოლის წესდება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან (ოქმიN1 7.09.21). სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2022-2028 სასწავლო წლებს, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კი 2021-2022 სასწავლო წლის განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლას ექვსწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით დაგეგმილი აქვს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით მუშაობა. 1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება; 2. სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა; 3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 4.უცხოური ენების სწავლების, ზუსტი (ტექნიკური) და მიმართულებების გაძლიერება; სკოლის მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით. კერძოდ: ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი გარემოს მოწყობა (სპორტ დარბაზის, ორი მოედნის, სკოლის სკვერის); აღჭურვა და განახლება ლაბორატორიის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ხელოვნების კაბინეტების; სსსმ მოსწავლეთათვის სასწავლო გარემოს ადაპტირება; ბიბლიოთეკის განახლება სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით და გამომდინარეობს სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. ორივე დოკუმენტი ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას და განახლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; • 1 წლიანი განვითარების გეგმა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. დაწესებულებაში იწარმოება შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის დირექტორის საერთო ბრძანების აღრიცხვის ჟურნალი; საკადრო ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი. საქმის წარმოების ჟურნალი დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლის წესდების ყველა პუნქტი მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.
ხარვეზები:	ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას სტრუქტურისა და საშტატო განრიგით ჰყავს დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილის და ფინანსური მენეჯერის შემადგენლობით. ადმინისტრაცია - საინფორმაციო მენეჯერის, იურისტის, 2 ბიბლიოთეკარის, 7 წრის ხელმძღვანელის, ექთნის, ფსიქოლოგის, ორგანიზატორის, საქმისმწარმოებლის, IT მენეჯერის, 28 კოორდინატორის და უსაფრთხოების მენეჯერის შემადგენლობით. ტექპერსონალი - ტექნიკური მენეჯერი, 7 დამლაგებელი და დარაჯი. მართვის საინფორმაციო სისტემის თანახმად სკოლა ნიკეში 2022 წლის 12 აპრილის მონაცემებით ფიქსირდება 59 პედაგოგი და მასწავლებლის ასისტენტი. ამათგან, 30 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონეა, 1 წამყვანი, 4 მაძიებელი, 8 მოწვეული და 2 შემცვლელი მასწავლებელი. 9 მასწავლებელთან გაფორმებულია კლასის კოორდინატორის ხელშეკრულება. ბაზაში დაფიქსირებული ხუთი მასწავლებლის (უტინსკაია სვეტლანა, ფურცვანიძე სალომე, ცენტერაძე ნინო, ხარაძე ლელა და ჯიბლაძე ნათია) ხელშეკრულებები სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი. 2 პედაგოგი E-school-ის ბაზაში არ არის მონიშნული როგორც მოწვეულის სტატუსის მქონე (ირმა სურმანიძე, მადლენა თარბა), აღნიშნულ პედაგოგებთან სკოლას კანონმდებლობის დაცვით გაფორმებული აქვს მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლის პირადი საქმეები; • E-school-ის მონაცემები; • ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**45**
მოწვეული/მაძიებელი	**8 / 4 (2 შემცვლელი)**
პრაქტიკოსი მასწავლებელი	**0**
უფროსი მასწავლებელი	**30**
წამყვანი მასწავლებელი	**1**
მენტორის სტატუსი	**0**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლის სტრუქტურა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის III თავით - შრომითი ურთიერთობების პირობები, 24-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსების წესი. სასურველია- აღწერილი იყოს პროცედურები კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით და ასევე გასაჩივრებისა და საპრეტენზიო კომისიის შესახებ. VI თავის 35-ე მუხლში აღწერილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და საბოლოო ანგარიშსწორების წესი. ამავე თავის 37-ე და 38-ე მუხლებით განსაზღვრულია წახალისების ფორმები და წახალისების გამოყენების წესი. შინაგანაწესის 37-ე მუხლში გაწერილია წახალისებების ფორმები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, მაგრამ არ არის გაწერილი რა შემთხვევებში მიიღებენ კონკრეტულ წახალისებებს. ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად გაიწეროს შინაგანაწესში თითოეული წახალისების ფორმის ინდიკატორი. მე-40 და 41-ე მუხლში აღწერილია დისციპლინარული წარმოების წესები, რომელიც კონკრეტულად აღწერს დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალს და შესაბამის დისციპლინარულ სახდელთა სახეობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორს სკოლის ყველა პედაგოგთან და ტექპერსონალთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია: ხელშეკრულების ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების გაწყვეტა, დამატებითი ვალდებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია უვადოდ ურთიერთშეთანხმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის ყველა პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში, რომლის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. სკოლაში შექმნილია შიდა შეფასების ჯგუფები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, ხორციელდება შემდეგი ნაბიჯები: ნაბიჯი 1. საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად გაკვეთილზე დაკვირვების ფორმებისა და პროცედურების შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაბიჯი 2. მმართველ გუნდთან ერთად დაკვირვების ფორმების (რუბრიკების) განხილვა და სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა; ნაბიჯი 3. გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი ნაბიჯი 4. გაკვეთილზე მეორადი დაკვირვება / ურთიერთდასწრება /ერთობლივი დაგეგმვა სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების დოკუმენტის შესაბამისად საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია მასწავლებლის საჭიროების დასადგენად. ერთჯერადი დაკვირვება არ იძლევა სასურველ შედეგს. ამიტომ მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება ხდება როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში. გარდა ამისა არსებობს მეორადი მონაცემებიც, რაც მასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას იძლევა. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოყენებულია გამოკითხვების, ინტერვიუების მეთოდები მოსწავლეებთან, მშობლებთან, კათედრისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და თავად მასწავლებელთან. სრული სურათის მისაღებად მიმდინარეობს დაკვირვება, უკუკავშირის მიცემა, მეორადი დაკვირვება. ფორმალური დასწრება - გაკვეთილებზე დასწრება სემესტრში ერთხელ. მასწავლებელი თავად, პროფესიულ საჭიროებებზე დაყრდნობით, ირჩევს კლასს და კონკრეტულ თარიღს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკვეთილზე დასწრებისას გამოყენებული დაკვირვების ტიპი, გაკვეთილის თემა, მეთოდი, კლასი და ა.შ დამოკიდებულია მასწავლებლის კონკრეტულ პროფესიულ საჭიროებაზე, ინტერესზე და ა.შ. გაკვეთილს ესწრება დირექციის ერთი წარმომადგენელი/ხარისხის მართვის მენეჯერი/ კათედრის ან საფეხურის ხელმძღვანელი. გაკვეთილის თარიღი, თემა, გამოყენებული მეთოდები ყველა დაინტერესებული მასწავლებლისთვის წინასწარ არის ცნობილი. დაინტერესების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დაესწრონ გაკვეთილს სრულად ან მათთვის საინტერესო ნაწილს. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი წერს რეფლექსიას, რის შემდეგაც ხდება ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი, გაკვეთილზე დაკვირვების შევსებულ რუბრიკაზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს მიეწოდება წერილობითი რეკომენდაციები; მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე კათედრის შიგნით და კათედრათა შორის - ამ ფორმატით თითოეული მასწავლებელი ესწრება კოლეგას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით. დაკვირვების წინა შეხვედრაზე, მასწავლებელი, რომლის გაკვეთილსაც ესწრებიან, აცნობს კოლეგას გაკვეთილის მიზნებს. დასწრების გრაფიკის შექმნასა და პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი. ეს გრაფიკი ცნობილია დირექციისთვის და გაუფრთხილებელი დასწრების ნაწილი სწორედ მათ მიერ მოწოდებული გრაფიკიდან შეიძლება იყოს შერჩეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შევსებული დაკვირვების რუბრიკები ინახება კათედრის პორტფოლიოში. გაკვეთილში მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მასწავლებლებს შეუძლიათ ცვლილებები შეიტანონ მასში, ასევე უფლება ეძლევათ განმეორებით ჩაატარონ, რაც დაეხმარება მასწავლებლებს ბოლომდე დაიკმაყოფილონ პროფესიული ცნობისმოყვარეობა და მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ აქტივობიდან. პორტფოლიოში ინახება მასწავლებლის/კათედრის ხელმძღვანელის/საფეხურის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების დოკუმენტი; • ტრენინგების დამადასტურებელი ცნობები/სერტიფიკატები; • გასაუბრება; • კათედრის პორტფოლიოები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული თანამდებობის, პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოებაში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. შექმნილია სხვადასხვა საგნობრივი კლუბები და მოსწავლეთა გაერთიანებები. ხშირად იგეგმება ექსკურსიები და ღონისძიებები. ინგლისურ ენაზე გამართული იმიტირებული ევროკავშირის სამიტები, სახალისო პრაქტიკული სამუშაოები ბუნებაში, აქტივობები წიგნის პოპულარიზაციისთვის, სპორტული შეჯიბრებები, მცენარეთა დარგვისა და მოვლის სამუშაოები სკოლის სკვერში და სხვ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა ინტერვიუირებისას განმარტეს, რომ კეთილგანწყობისა, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რაც სხვა სკოლებისგან მას გამოარჩევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; • სკოლის ვებ- გვერდი; • ფოტო მასალა; • ინტერვიუები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად გაიწეროს შინაგანაწესში წახალისების ფორმის თითოეული ინდიკატორი. სასურველია- აღწერილი იყოს პროცედურები პედაგოგის/თანამშრომლის მისაღები კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით და ასევე გასაჩივრებისა და საპრეტენზიო კომისიის შესახებ. სკოლამ თანხვედრაში მოიყვანოს E-school-ის ბაზაში შეტანილი მონაცემები სკოლაში ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მასწავლებელთა სტატუსებთან.
ხარვეზები:	ხარვეზი არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 12. 05 .2022

გვერდების რაოდენობა 58 გვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.